

*(ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების/ატომური ენერჯის სფეროში ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული აქტები, რომელთა გამოქვეყნება სავალდებულოა)*

## **დირექტივები**

**ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2007 წლის 14 მარტის**

**დირექტივა 2007/2/EC**

**ევროპის თანამეგობრობაში სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის**

**(INSPIRE) შექმნის შესახებ**

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების, კერძოდ, 175(1) მუხლის გათვალისწინებით,

ევროკომისიის წინადადების გათვალისწინებით,

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის დასკვნის<sup>(1)</sup> გათვალისწინებით,

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციების შემდეგ,

რომელიც მოქმედებს ხელშეკრულების 251-ე მუხლით განსაზღვრული წესით და მომრიგებელი კომისიის მიერ 2007 წლის 17 იანვარს დამტკიცებულ ერთობლივ ტექსტზე<sup>(2)</sup> დაყრდნობით,

ვინაიდან:

(1) ევროპის თანამეგობრობის გარემოსდაცვითი პოლიტიკა მიზნად ისახავს მაღალ დონეზე გარემოს დაცვას, თანამეგობრობის სხვადასხვა რეგიონის მრავალფეროვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ზემოხსენებული და თანამეგობრობის სხვა პოლიტიკის შესაქმნელად და განსახორციელებლად საჭიროა ისეთი ინფორმაცია, სივრცითი ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარემოს დაცვის მოთხოვნებს. ამისათვის კი საჭიროა ინფორმაციის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა სექტორებიდან მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის შეთავსება.

(2) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წლის 22 ივლისის No 1600/2002/EC გადაწყვეტილებით მიღებული გარემოს დაცვის მეექვსე სამოქმედო პროგრამა<sup>(3)</sup> მოითხოვს იმ ფაქტის სრულად გათვალისწინებას, რომ თანამეგობრობის გარემოსდაცვითი პოლიტიკა უნდა შემუშავდეს ინტეგრირებულად, რეგიონული და ადგილობრივი განსხვავებების გათვალისწინებით. სივრცითი ინფორმაციის არსებობის, ხარისხის, ორგანიზების, ხელმისაწვდომობისა და გაცვლის თვალსაზრისით, არსებობს რიგი პრობლემისა, რაც მოსაგვარებელია პროგრამით განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად.

(3) სივრცითი ინფორმაციის არსებობასთან, ხარისხთან, ორგანიზებასთან, ხელმისაწვდომობასა და გაცვლასთან დაკავშირებული პრობლემები საერთო და დამახასიათებელია პოლიტიკისა და ინფორმაციის მთელი რიგი თემებისთვის და არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ფუნქციურად თავსებადი სივრცითი მონაცემებისა და მასთან

<sup>1</sup> OJ C 221, 8.9.2005წ., გვ. 33.

<sup>2</sup> 2005 წლის 7 ივნისის (OJ C 124 E, 25.5.2006 წ., გვ. 116) ევროპარლამენტის, 2006 წლის 23 იანვრის (OJ C 126 E, 30.5.2006წ., გვ. 16) ევროსაბჭოს საერთო პოზიცია და 2006 წლის 13 ივნისის ევროპარლამენტის პოზიცია (ოფიციალურად ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა). ევროსაბჭოს 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება და 2007 წლის 13 თებერვლის ევროპარლამენტის საკანონმდებლო რეზოლუცია (ოფიციალურად ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა).

<sup>3</sup> OJ L 242, 10.9.2002 წ., გვ. 1.

დაკავშირებული სერვისების ურთიერთგაცვლას, გაზიარებას, ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე, ისე სხვადასხვა სექტორებში. ამიტომ, საჭიროა ევროპის თანამეგობრობაში შეიქმნას სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურა.

(4) ევროპის თანამეგობრობაში სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურა (INSPIRE) ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებას იმ საქმიანობების და პოლიტიკის განხორციელებასთან მიმართებაში, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი თუ ირიბი გავლენა მოახდინოს გარემოზე.

(5) INSPIRE უნდა ეფუძნებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ შექმნილ სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურას, რომელიც ფუნქციონირების/გამოყენების საერთო წესებთან თავსებადია და რომლის ფუნქციონირებას დამატებით ხელს შეუწყობს ევროპის თანამეგობრობაში გატარებული ზომები. აღნიშნულმა ზომებმა უნდა უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოების მიერ შექმნილი სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურების თავსებადობა და გამოყენება როგორც თანამეგობრობის, ისე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში.

(6) წევრ სახელმწიფოებში სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სივრცითი მონაცემების შენახვა, ხელმისაწვდომობა და გამოყენება ხდებოდეს მაქსიმალურად სათანადო დონეზე; შესაძლებელი იყოს თანამეგობრობის მასშტაბით სხვადასხვა წყაროდან მიღებული სივრცითი მონაცემების თანმიმდევრული გაერთიანება და რამდენიმე მომხმარებლისა და პროგრამის/აპლიკაციის მიერ ერთობლივი გამოყენება; შესაძლებელი იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ დონეზე შეგროვებული სივრცითი ინფორმაციის სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს შორის გავრცელება; სივრცითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს იმ პირობით, თუ გაუმართლებლად არ შეიზღუდება ამ ინფორმაციის ფართოდ გამოყენება; სივრცითი ინფორმაციის მოძიება იყოს იოლი, მათი კონკრეტულ მიზანთან შესაბამისობა - ადვილად შესაფასებელი, ხოლო გამოყენების პირობები - ადვილად გასაგები.

(7) გარკვეული ხარისხის გადაფარვა არსებობს წინამდებარე დირექტივაში მითითებულ სივრცით ინფორმაციასა და ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 28 იანვრის 2003/4/EC დირექტივაში (რომელიც ეხება გარემოს შესახებ ინფორმაციაზე საჯარო წვდომას) მითითებულ ინფორმაციას შორის<sup>(1)</sup>. წინამდებარე დირექტივა არ ეწინააღმდეგება 2003/4/EC დირექტივას.

(8) წინამდებარე დირექტივა ასევე არ ეწინააღმდეგება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის 2003/98/EC დირექტივას საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ<sup>(2)</sup>, რომლის მიზნებიც ამ დირექტივის დამატებით მიზნებს წარმოადგენს.

(9) წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე.

(10) INSPIRE-ის შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას თანამეგობრობის სხვა ინიციატივებისათვის, როგორც არის ევროსაბჭოს 2002 წლის 21 მაისის (EC) No 876/2002 რეგულაცია ერთობლივი საწარმო Galileo-ს დაფუძნების თაობაზე,<sup>(3)</sup> ასევე ევროკომისიის შეტყობინება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიმართ - „გარემოსა და უსაფრთხოების გლობალური მონიტორინგი (GMES): GMES-ის ფუნქციონირების დაწყება 2008 წლისთვის - (სამოქმედო გეგმა 2004-2008წწ.)“. თავის მხრივ, აღნიშნულ ინიციატივათა განხორციელება ხელს შეუწყობს თავად ამ სისტემის შექმნას. როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, წევრი სახელმწიფოები დაიწყებენ Galileo-დან და GMES-დან მონაცემებითა

<sup>1</sup> OJ L 41, 14.2.2003 წ., გვ. 26.

<sup>2</sup> OJ L 345, 31.12.2003 წ., გვ. 90.

<sup>3</sup> OJ L 138, 28.5.2002 წ., გვ. 1.

და სერვისებით სარგებლობას; განსაკუთრებით ეს ეხება Galileo-ს დროსა და სივრცესთან დაკავშირებულ მონაცემებს.

(11) ეროვნულ და თანამეგობრობის დონეზე მრავალი ინიციატივა ხორციელდება სივრცითი ინფორმაციის შეგროვების, ჰარმონიზაციის, ასევე გავრცელების ან გამოყენების ორგანიზების მიზნით. ასეთ ინიციატივებს საფუძვლად უდევს ევროპის თანამეგობრობის კანონმდებლობა, როგორცაა მაგალითად, 2000 წლის 17 ივლისის ევროკომისიის 2000/479/EC გადაწყვეტილება დამაბინძურებლების გაფრქვევის ევროპული რეესტრის (EPER) შექმნის თაობაზე, ევროსაბჭოს გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის (IPPC) შესახებ 96/61/EC დირექტივის მე-15 მუხლის<sup>(1)</sup> და თანამეგობრობის ფარგლებში ტყეებისა და გარემოს ურთიერთქმედების მონიტორინგის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის No 2152/2003 რეგულაციის (ყურადღება გამახვილებულია ტყეებზე)<sup>(2)</sup> შესაბამისად, თანამეგობრობის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში (მაგალითად, Corine-ის მიწის საფარის პროგრამა, ევროპის სატრანსპორტო პოლიტიკის საინფორმაციო სისტემა). აღნიშნული ინიციატივები შეიძლება ასევე გამომდინარეობდეს ნაციონალურ ან რეგიონულ დონეზე განხორციელებული ინიციატივებიდან. წინამდებარე დირექტივა არა მხოლოდ ავსებს მსგავს ინიციატივებს ფუნქციური თავსებადობის უზრუნველყოფელი სტრუქტურის შექმნით, არამედ ასევე ეყრდნობა არსებულ გამოცდილებასა და ინიციატივებს, უკვე შესრულებული სამუშაოების დუბლირების ნაცვლად.

(12) წინამდებარე დირექტივა ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელში ან მის დაქვემდებარებაში არსებულ სივრცით მონაცემებზე და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისას სივრცითი მონაცემების გამოყენებაზე. გარკვეულ პირობებში, წინამდებარე დირექტივა ასევე ვრცელდება ფიზიკური ან იურიდიული პირის (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გარდა) ხელში არსებულ სივრცით მონაცემებზე, იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი მოითხოვს ამ მონაცემებს.

(13) წინამდებარე დირექტივა არ ადგენს ახალი მონაცემების შეგროვების ან ამ მონაცემების კომისიისათვის გადაცემის მოთხოვნებს, ვინაიდან მსგავსი საკითხები რეგულირდება გარემოს დაცვის სხვა კანონებით.

(14) ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნა მზარდი პროცესია და შესაბამისად, დირექტივით გათვალისწინებულ სივრცითი ინფორმაციის საკითხებს სხვადასხვა დონის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად აუცილებელია არსებული სივრცითი მონაცემები საქმიანობის სხვადასხვა სფეროში პროგრამების/აპლიკაციების ფართო სპექტრისთვის, თუ რა პრიორიტეტულობით შესრულდება თანამეგობრობის იმ პოლიტიკით გათვალისწინებული საქმიანობები, რომელიც საჭიროებს ჰარმონიზებულ სივრცით ინფორმაციას, თუ რა პროგრესია მიღწეული წევრ სახელმწიფოებში გატარებული ჰარმონიზაციის ღონისძიებების კუთხით.

(15) დროისა და სახსრების ფლანგვა არსებული სივრცითი მონაცემების ძიებაში ან იმის დადგენაში, თუ რამდენად გამოყენებადია სივრცითი მონაცემები კონკრეტული მიზნისათვის, მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხელმისაწვდომი ინფორმაციის სრულყოფილად გამოყენებას. ამიტომ, წევრმა

<sup>1</sup> OJ L 192, 28.7.2000 წ., გვ. 36.

<sup>2</sup> OJ L 324, 11.12.2003 წ., გვ. 1. რეგულაცია, როგორც ეს შეიცვალა რეგულაციით (EC) No 788/2004 (OJ L 138, 30.4.2004 წ., გვ. 17).

სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ ხელმისაწვდომი სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების აღწერილობა მეტამონაცემების სახით.

(16) ვინაიდან, იმ ფორმატთა და სტრუქტურათა მრავალფეროვნება, სადაც ხორციელდება სივრცითი მონაცემების ორგანიზება და წვდომა თანამეგობრობის ფარგლებში, ხელს უშლის თანამეგობრობის ეფექტური კანონმდებლობის შექმნას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს გარემოზე, საჭიროა იმპლემენტაციის ღონისძიებების გატარება, წევრი სახელმწიფოების ფარგლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული სივრცითი მონაცემების გამოყენების გამარტივების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოს სივრცითი მონაცემების ნაკრებების ფუნქციური თავსებადობა; ხოლო წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სისტემათა ფუნქციური თავსებადობის მისაღწევად საჭირო ნებისმიერი მონაცემის ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, იმ პირობით, თუ არ შეიზღუდება ამ კონკრეტული მიზნისთვის მათი გამოყენება. იმპლემენტაციის წესები, შეძლებისდაგვარად, უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და არ უნდა იწვევდეს წევრი სახელმწიფოების მხრიდან დიდი დანახარჯების გაწევას.

(17) თანამეგობრობის ფარგლებში სხვადასხვა დონის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სივრცითი მონაცემების ერთობლივი გამოყენებისთვის საჭიროა ქსელური მომსახურების არსებობა. მათი საშუალებით შესაძლებელია სივრცითი მონაცემების მოძიება, გარდაქმნა, დათვალიერება და ჩამოტვირთვა, ასევე სივრცითი მონაცემების და ელექტრონული კომერციის სერვისების გამოყენება. ქსელური სერვისები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ტექნიკურ მახასიათებლებს და მინიმალურ საექსპლუატაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების მიერ შექმნილი ინფრასტრუქტურების ფუნქციურ თავსებადობას. ქსელური მომსახურება ასევე მოიცავს ისეთ ტექნიკურ შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელმისაწვდომს გახდიან მათ ხელთ არსებულ სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სერვისებს.

(18) თანამეგობრობის პოლიტიკის შესაბამის გარკვეულ სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სერვისებს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს გარემოზე, ფლობენ და მართავენ მესამე პირები. ამიტომ, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებლობა უნდა მისცენ მესამე პირებს, რომ თავისი წვლილი შეიტანონ ეროვნული ინფრასტრუქტურების შექმნაში, იმ პირობით, თუ ზიანი არ მიადგება აღნიშნული ინფრასტრუქტურების ერთიანობასა და მათი მემკვიდრეობით სივრცითი მონაცემებით და სერვისებით სარგებლობას.

(19) წევრი სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის წარმატებით ფუნქციონირებისათვის სერვისების მინიმალური მოცულობა უფასო უნდა იყოს საზოგადოებისთვის. ამიტომ, წევრმა სახელმწიფოებმა, როგორც მინიმუმ, უფასოდ უნდა გაწიონ ისეთი სერვისები, როგორცაა ინფორმაციის მოძიება და რიგ გარემოებებში, სივრცითი მონაცემების ნაკრებების ვიზუალიზაცია და დათვალიერება.

(20) ნაციონალური ინფრასტრუქტურების INSPIRE-ში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარ ინფრასტრუქტურებზე წვდომას ევროკომისიის მიერ მართული თანამეგობრობის ჯეოპორტალის, ასევე ნებისმიერი სხვა წვდომის წერტილის მეშვეობით, რომელსაც შეხედულებისამებრ თავად მართავენ.

(21) იმისათვის, რომ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოსული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომელსაც აწყდებიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე

მათზე დაკისრებული იმ მოვალეობების შესრულებისას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს გარემოზე.

(22) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, უპრობლემო წვდომა უნდა ჰქონდეთ შესაბამის სივრცითი მონაცემების ნაკრებებსა და სერვისებზე. უპრობლემო წვდომა შეიძლება შეფერხდეს, თუ წვდომაზე უფლების მისაღებად ყოველ ჯერზე საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ინდივიდუალური სპეციალური მოლაპარაკებები. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ მონაცემთა გაცვლასთან დაკავშირებული დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის წინასწარი ხელშეკრულების გაფორმებით.

(23) როდესაც ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში ხელისუფლების ერთი ორგანო ხელისუფლების მეორე ორგანოს აწვდის ისეთ სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სერვისებს, რომელიც აუცილებელია თანამეგობრობის გარემოს შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებისთვის, აღნიშნულ წევრ სახელმწიფოს უფლება უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილება მიიღოს სივრცითი მონაცემების ნაკრებების და სერვისების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. მთავრობისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ სივრცითი მონაცემების ნაკრებების და სერვისების ერთობლივი გამოყენების მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფინანსურ მდგრადობას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ორგანოებს, რომელთა უშუალო მოვალეობაა შემოსავლების მოზიდვა. ნებისმიერ შემთხვევაში, დაწესებული საფასური არ უნდა აღემატებოდეს ინფორმაციის შეგროვების, წარმოების, აღწარმოებისა და გავრცელების ხარჯს პლუს ინვესტიციების ზომიერი რენტაბელობა.

(24) ქსელური სერვისებით უზრუნველყოფა განხორციელდება პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული პრინციპების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივაში პირადი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვისა და ამ მონაცემების თავისუფალი მოძრაობის შესახებ.<sup>(1)</sup>

(25) სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ სივრცითი მონაცემების ერთობლივი გამოყენების სტრუქტურა, რომლებსაც დირექტივა აკისრებს სივრცითი მონაცემების ერთობლივი გამოყენების ვალდებულებას, ნეიტრალური უნდა იყოს კონკრეტული წევრი სახელმწიფოს ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლების ამ ორგანოებთან მიმართებაში, ასევე სხვა წევრი სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებთან და თანამეგობრობის ინსტიტუტებთან მიმართებაში. ვინაიდან, ევროპის თანამეგობრობის ინსტიტუტებსა და ორგანოებს ხშირად უწევთ ყველა წევრი სახელმწიფოს სივრცითი ინფორმაციის ინტეგრირება და შეფასება, მათ უნდა ჰქონდეთ ყველა წევრი სახელმწიფოს სივრცითი მონაცემებსა და სერვისებზე წვდომის ასევე მათი გამოყენების შესაძლებლობა, შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

(26) მესამე პირების მხრიდან დამატებითი ღირებულების მომსახურებების განვითარების სტიმულირების მიზნით, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ისე ფართო

<sup>1</sup> OJ L 281, 23.11.1995 წ., გვ. 31. დირექტივა შესწორდა რეგულაციის შესაბამისად. (EC) No 1882/2003 (OJ L 284, 31.10.2003 წ., გვ. 1).

საზოგადოების საკეთილდღეოდ, აუცილებელია იმ სივრცით მონაცემებზე წვდომის გამარტივება, რომელიც სცილდება ადმინისტრაციულ თუ ნაციონალურ საზღვრებს.

(27) სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენებისთვის საჭიროა ამ ინფრასტრუქტურის შექმნით დაინტერესებული ყველა მხარის მოქმედებათა კოორდინაცია, იქნება ეს ინფრასტრუქტურის სპონსორი თუ ინფრასტრუქტურით მოსარგებლე. ამიტომ, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე უნდა შეიქმნას შესაბამისი მაკოორდინირებელი სტრუქტურები, წევრი სახელმწიფოების ფარგლებში უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების განაწილების გათვალისწინებით.

(28) მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული მდგომარეობიდან, ასევე საინფორმაციო ინფრასტრუქტურაში პრაქტიკული გამოცდილებიდან სარგებლის მიღების მიზნით, წინამდებარე დირექტივის განხორციელებისთვის აუცილებელი ზომები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ევროპის სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ მიღებულ სტანდარტებს, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 1998 წლის 22 ივნისის 98/34/EC დირექტივით გათვალისწინებული წესით, სადაც აღწერილია ტექნიკური პირობებისა და ნორმების სფეროში ინფორმაციის მიწოდების პროცედურა<sup>(1)</sup>.

(29) ვინაიდან, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, რომელიც შეიქმნა ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტოსა და ევროპის გარემოს დაცვის საინფორმაციო და სადამკვირვებლო ქსელის შექმნის შესახებ ევროსაბჭოს 1990 წლის 7 მაისის (EEC) No 1210/90 რეგულაციის საფუძველზე<sup>(2)</sup>, ვალდებულია ევროპის თანამეგობრობას მიაწოდოს თანამეგობრობის დონეზე ობიექტური, საიმედო და შედარებადი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, და სხვათა შორის, მიზნად ისახავს პოლიტიკის რელევანტური გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელებას წევრ სახელმწიფოებსა და თანამეგობრობის ინსტიტუტებს შორის, ევროპის გარემოსდაცვითმა სააგენტომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი წინამდებარე დირექტივის განხორციელებას.

(30) კანონშემოქმედებითი პროცესის გაუმჯობესების შესახებ უწყებათაშორისი ხელშეკრულების<sup>(3)</sup> 34-ე პუნქტის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, საკუთარი და თანამეგობრობის ინტერესების გათვალისწინებით, შექმნან და გაასაჯაროონ ისეთი სქემები, სადაც შეძლებისდაგვარად აისახება წინამდებარე დირექტივასა და დირექტივის ნორმების კანონმდებლობაში ასახვის მექანიზმებს შორის თანაფარდობა.

(31) წინამდებარე დირექტივის შესასრულებლად აუცილებელია ზომების მიღება, კომისიისთვის მინიჭებული განხორციელების უფლებამოსილებების შესრულების წესის შესახებ ევროსაბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების შესაბამისად<sup>(4)</sup>.

(32) კერძოდ, კომისიას უნდა ჰქონდეს I, II და III დანართით გათვალისწინებული არსებულ მონაცემთა თემატიკის აღწერილობის გადაკეთების უფლება. ვინაიდან, აღნიშნულ ზომებს ზოგადი ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს წინამდებარე დირექტივის არაარსებითი ელემენტების შესწორებას, მათი მიღება ხდება

<sup>1</sup> OJ L 204, 21.7.1998 წ., გვ. 37. დირექტივა უკანასკნელად შესწორდა 2003 წლის მიერთების აქტის საფუძველზე.

<sup>2</sup> OJ L 120, 11.5.1990 წ., გვ. 1. რეგულაცია უკანასკნელად შესწორდა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No 1641/2003 საფუძველზე (OJ L 245, 29.9.2003 წ., გვ. 1).

<sup>3</sup> OJ C 321, 31.12.2003 წ., გვ. 1.

<sup>4</sup> OJ L 184, 17.7.1999 წ., გვ. 23. გადაწყვეტილება შესწორდა 2006/512/EC (OJ L 200, 22.7.2006 წ., გვ. 11)

გადაწყვეტილების საფუძველზე.

გულდასმით შესწავლის შემდეგ, 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

(33) კომისიას ასევე უნდა ჰქონდეს განხორციელების წესების მიღების უფლებამოსილება, სადაც განსაზღვრული იქნება სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ფუნქციური თავსებადობისა და ჰარმონიზაციის ტექნიკური ღონისძიებები, სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე წვდომის მარეგულირებელი წესები, და ქსელური მომსახურების ტექნიკურ მახასიათებლებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული წესები. ვინაიდან, აღნიშნულ ზომებს ზოგადი ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს წინამდებარე დირექტივის არაარსებითი ელემენტებით შევსებას, მათი მიღება ხდება გულდასმით შესწავლის შემდეგ, 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5ა მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

(34) წინამდებარე დირექტივის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისთვის და INSPIRE-ის სამომავლო განვითარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა ამ დირექტივის იმპლემენტაცია მუდმივი მონიტორინგი და მასზე რეგულარული ანგარიშგება.

(35) ვინაიდან, წინამდებარე დირექტივის მიზანს, კერძოდ, INSPIRE-ის დანერგვასა და ფუნქციონირებას ეფექტიანად ვერ განახორციელებენ მხოლოდ წევრი სახელმწიფოები ტრანსნაციონალური ასპექტების და იმის გამო, რომ თანამეგობრობის ფარგლებში ზოგადად საჭიროა სივრცით ინფორმაციაზე წვდომის, მისი გაცვლისა და ერთობლივი გამოყენების პირობების კოორდინაცია და ამის უკეთესად მიღწევა შესაძლებელია თანამეგობრობის დონეზე, თანამეგობრობა უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად. იგივე მუხლით გათვალისწინებული პროპორციონალურობის პრინციპის თანახმად, წინამდებარე დირექტივა არ ცდება დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელ ფარგლებს.

მიიღო წინამდებარე დირექტივა:

## თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1

1. წინამდებარე დირექტივის მიზანია ევროპის თანამეგობრობაში სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც INSPIRE) შექმნისათვის ზოგადი წესების განსაზღვრა თანამეგობრობის გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ისეთი ღონისძიებებისა თუ აქტივობების განხორციელების მიზნით, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე.
2. INSPIRE-ი ეფუძნება წევრი სახელმწიფოების მიერ შექმნილ და მართულ სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურას.

#### მუხლი 2

1. წინამდებარე დირექტივა არ ეწინააღმდეგება 2003/4/EC და 2003/98/EC დირექტივებს.
2. წინამდებარე დირექტივა არ ლახავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

#### მუხლი 3

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, გამოიყენება ტერმინთა შემდეგი განმარტებები:

1. სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურა - მეტამონაცემები, სივრცითი მონაცემების ნაკრებები და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული სერვისები; ქსელური მომსახურება და ტექნოლოგიები; ხელშეკრულებები სივრცითი მონაცემების გაზიარების, წვდომისა და გამოყენების თაობაზე; კოორდინირებისა და მონიტორინგის მექანიზმები, პროცესები და პროცედურები, რომელთა შექმნა, ამოქმედება და გამოყენება ხდება წინამდებარე დირექტივის შესაბამისად;
2. სივრცითი მონაცემები - ნებისმიერი მონაცემი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება კონკრეტულ ადგილმდებარეობას ან გეოგრაფიულ არეალს;
3. სივრცითი მონაცემების ნაკრები - იდენტიფიცირებად სივრცით მონაცემთა ნაკრები;
4. სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული სერვისი - კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით შესრულებადი ოპერაციები სივრცითი მონაცემების ნაკრებებში ან დაკავშირებულ მეტამონაცემში შემავალ სივრცით მონაცემებზე;
5. სივრცითი ობიექტი - რეალური მოვლენის აბსტრაქტული გამოხატულება, თავისი კონკრეტული ადგილმდებარეობით ან გეოგრაფიული არეალით;
6. მეტამონაცემები - ინფორმაცია, რომელიც აღწერს სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებულ სერვისებს და რომელიც იძლევა ამ მონაცემების მოძიების, მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობას;
7. ფუნქციური თავსებადობა (ინტეროპერაბელობა) - სივრცითი მონაცემების ნაკრებების კომბინირების შესაძლებლობა; ასევე, სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული სერვისების ურთიერთქმედების შესაძლებლობა, ოპერატორის მხრიდან განმეორებითი ჩარევების გარეშე ისე, რომ შედეგები თანმიმდევრული იყოს და მონაცემთა ნაკრებების და სერვისების დამატებული ღირებულება გაიზარდოს;
8. INSPIRE-ის გეოპორტალი - ინტერნეტ საიტი ან მისი ექვივალენტი, რომელიც უზრუნველყოფს 11(1) მუხლში მითითებულ სერვისზე წვდომას;
9. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო:
  - (ა) მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციული, მათ შორის სახელმწიფო სათათბირო ორგანოები სახელმწიფო, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე;
  - (ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების, მომსახურების და ქმედებების ჩათვლით; და
  - (გ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს ან ფუნქციებს, ან რომელიც ეწევა საზოგადოებრივ მომსახურებას გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში განსაზღვრული ორგანოს ან პირის კონტროლქვეშ;
 წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, სასამართლო ან საკანონმდებლო სტატუსით მოქმედი ორგანოები ან დაწესებულებები არ განიხილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ.
10. მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გარდა.

#### *მუხლი 4*

1. წინამდებარე დირექტივა ვრცელდება სივრცითი მონაცემების იმ ნაკრებებზე, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:



- (ა) ეხება იმ ტერიტორიას, სადაც წევრი სახელმწიფოები ფლობენ ან/და იყენებენ სამართლებრივ უფლებებს;
- (ბ) წარმოდგენილია ელექტრონულ ფორმატში;
- (გ) ფლობს ნებისმიერი ქვემოთ მითითებული პირი თავად ან სხვა პირი ქვემოთ მითითებულის სახელით:
- (i) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელმაც თავად შექმნა ან მიიღო ეს სივრცითი მონაცემები, ან რომელიც უზრუნველყოფდა სივრცითი მონაცემების მართვას ან განახლებას საკუთარი სახელმწიფოებრივი ფუნქციების ფარგლებში;
- (ii) მესამე პირი, რომელსაც ქსელზე წვდომა აქვს მე-12 მუხლის შესაბამისად;
- (დ) ეხება I, II ან III დანართში ჩამოთვლილ ერთ ან მეტ თემატიკას.
2. თუ სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ფლობს ან განკარგავს სივრცითი მონაცემების ერთი და იგივე ნაკრებების რამდენიმე იდენტურ ასლს, წინამდებარე დირექტივა ვრცელდება მხოლოდ პირველად ვერსიაზე, საიდანაც ასლები გაკეთდა.
3. წინამდებარე დირექტივა ასევე ვრცელდება სივრცითი მონაცემების სერვისებზე, რომელიც უკავშირდება წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სივრცითი მონაცემების ნაკრებებით გათვალისწინებულ მონაცემებს.
4. წინამდებარე დირექტივა არ მოითხოვს ახალი სივრცითი მონაცემების შეგროვებას.
5. თუ სივრცითი მონაცემების ნაკრები აკმაყოფილებს პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობას, მაგრამ მასზე მესამე პირს აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლება აქვს მიიღოს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ზომები, მხოლოდ ამ მესამე პირის თანხმობის საფუძველზე.
6. გამონაკლის შემთხვევებში, პირველი პუნქტის პირობები შესაძლოა შეიცვალოს და წინამდებარე დირექტივა გავრცელდეს იმ სივრცითი მონაცემების ნაკრებზე, რომელსაც ფლობს წევრი სახელმწიფოს ფარგლებში მმართველობის ყველაზე დაბალ დონეზე მყოფი ხელისუფლების ორგანო ან სხვა ორგანო მისი სახელით, იმ პირობით, თუ წევრ სახელმწიფოში მოქმედებს ისეთი კანონები ან ნორმატიული აქტები, რომლებიც მოითხოვს სივრცითი მონაცემების შეგროვებას ან გავრცელებას.
7. I, II და III დანართში მითითებული მონაცემთა თემატიკის აღწერილობის მორგება შესაძლებელია 22(3) მუხლში დეტალურად განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად, რათა გათვალისწინებულ იქნას სივრცით მონაცემებზე მზარდი მოთხოვნილება, რაც დაეხმარება თანამეგობრობას გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა გარემოს დაცვის სფეროში.

## თავი II

### მეტამონაცემები

#### მუხლი 5

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისებისათვის მეტამონაცემების შექმნა I, II და III დანართში მითითებულ მონაცემთა თემატიკის შესაბამისად, ასევე მეტამონაცემების რეგულარული განახლება.
2. მეტამონაცემებში უნდა შევიდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- (ა) სივრცითი მონაცემების ნაკრების 7(1) მუხლში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

- (ბ) სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე წვდომის, მათი გამოყენების პირობების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მოსაკრებლების ოდენობის შესახებ;
- (გ) სივრცითი მონაცემების ნაკრებების ხარისხისა და ვალიდურობის (საიმედოობის) შესახებ;
- (დ) სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოების შესახებ, რომლებიც პასუხს აგებენ სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების შექმნაზე, მართვაზე, მხარდაჭერასა და გავრცელებაზე;
- (ე) საჯარო წვდომის შეზღუდვის და ამ შეზღუდვის მიზეზების შესახებ, მე-13 მუხლის შესაბამისად.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ზომები, რათა მეტამონაცემები იყოს სრული და ხარისხიანი, მესამე მუხლის მე-6 პუნქტში განსაზღვრული მიზნის შესრულების უზრუნველსაყოფად.
4. წინამდებარე მუხლის განხორციელების წესები უნდა დამტკიცდეს 2008 წლის 15 მაისისთვის, 22(2) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურების შესაბამისად. წესები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელთა მოთხოვნებს, კერძოდ, მეტამონაცემების ვალიდურობასთან (საიმედოობასთან) დაკავშირებით.

### *მუხლი 6*

- წევრმა სახელმწიფოებმა მე-5 მუხლში მითითებული მეტამონაცემები უნდა შექმნან შემდეგ ვადებში:
- (ა) 5(4) მუხლის მიხედვით იმპლემენტაციის წესების მიღების თარიღიდან არა უგვიანეს ორი წლისა, იმ შემთხვევაში, თუ სივრცითი მონაცემების ნაკრები შეესაბამება I და II დანართებში მითითებულ თემატიკას;
- (ბ) 5(4) მუხლის მიხედვით იმპლემენტაციის წესების მიღების თარიღიდან არა უგვიანეს ხუთი წლისა, იმ შემთხვევაში, თუ სივრცითი მონაცემების ნაკრები შეესაბამება III დანართში მითითებულ თემატიკას;

### **თავი III**

#### **სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ფუნქციური თავსებადობა**

### *მუხლი 7*

1. იმპლემენტაციის წესები, რომელიც განსაზღვრავს სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ფუნქციური თავსებადობის და, სადაც შესაძლებელია, ჰარმონიზაციის ტექნიკურ ღონისძიებებს და რომელიც შემუშავებულია წინამდებარე დირექტივის არაარსებითი ელემენტების შესასწორებლად მასში დამატებების შეტანის გზით, მიღებულ უნდა იქნეს 22(3) მუხლში დეტალურად აღწერილი მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად. განხორციელების წესების შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მომხმარებელთა შესაბამისი მოთხოვნები, არსებული ინიციატივები და სივრცითი მონაცემების ნაკრებების ჰარმონიზაციისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტები, ასევე მათი განხორციელებადობა და ეკონომიკური ეფექტიანობა. თუ საერთაშორისო კანონის საფუძველზე შექმნილმა ორგანიზაციებმა მიიღეს შესაბამისი სტანდარტები სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ფუნქციური თავსებადობისა და ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მოხდეს ამ სტანდარტების ინტეგრირება და, საჭიროების შემთხვევაში, არსებული ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განხორციელების წესებში.
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული იმპლემენტაციის წესების შემუშავებისთვის, კომისიამ საფუძვლად უნდა აიღოს და გაანალიზოს, თუ რამდენად შესრულებადი და თანაზომიერია აღნიშნული წესები, სავარაუდო ხარჯებისა და სარგებლის თვალსაზრისით, ხოლო ანალიზის შედეგები წარუდგინოს

22(1) მუხლში დასახელებულ კომიტეტს. წევრმა სახელმწიფოებმა, თხოვნის საფუძველზე, კომისიას უნდა მიაწოდონ მსგავსი ანალიზის გასაკეთებლად საჭირო ინფორმაცია.

3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ახლად შეგროვილი და საფუძვლიანად რესტრუქტურირებული სივრცითი მონაცემების ნაკრებების და შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობას, პირველ პუნქტში მითითებული იმპლემენტაციის წესების შესაბამისად, მათი მიღებიდან ორი წლის განმავლობაში, ხოლო კვლავ გამოყენებაში არსებული სხვა სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ხელმისაწვდომობას - იმპლემენტაციის წესების შესაბამისად, მათი მიღებიდან შვიდი წლის განმავლობაში. სივრცითი მონაცემების ნაკრებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმპლემენტაციის წესების შესაბამისად, არსებული სივრცითი მონაცემების ნაკრებების მორგებით ან 11(1)(დ) მუხლში მითითებული მონაცემთა განახლების სერვისის გაწევით.

4. პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმპლემენტაციის წესები უნდა მოიცავდეს I, II და III დანართებში მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებული სივრცითი მონაცემების შესაბამისი სივრცითი ობიექტების განსაზღვრებებსა და კლასიფიკაციას, ასევე იმ საშუალებებს, რა გზითაც სივრცითი მონაცემები ხდება გეოგრაფიული.

5. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ასევე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა ინტერესის სფეროში შედის კონკრეტული სივრცითი მონაცემები სივრცითი ინფორმაციისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის საკითხში მათზე დაკისრებული ფუნქციიდან გამომდინარე, მათ შორის მომხმარებლებს, მწარმოებლებს, დამატებითი ღირებულების მომსახურების მიმწოდებლებს ან ნებისმიერ მაკოორდინირებელ ორგანოს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ პირველ პუნქტში მითითებული იმპლემენტაციის წესების შინაარსთან დაკავშირებულ წინასწარ დისკუსიებში, 22(1) მუხლში განსაზღვრული კომიტეტის მიერ განხილვამდე.

### *მუხლი 8*

1. როდესაც საქმე გვაქვს სივრცითი მონაცემების ნაკრებებთან, რომელიც შეესაბამება I ან II დანართში მოცემულ ერთ ან რამდენიმე თემას, 7(1) მუხლში მითითებული იმპლემენტაციის წესები უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებს.

2. იმპლემენტაციის წესები არეგულირებს სივრცით მონაცემებთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტებს:

(ა) სივრცითი ობიექტების უნიკალური იდენტიფიკაციის საერთო სტრუქტურას, რომელშიც ეროვნული სისტემების ფარგლებში გამოყენება იდენტიფიკატორები, მათ შორის ფუნქციური თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით;

(ბ) სივრცით ობიექტებს შორის ურთიერთობა;

(გ) ძირითადი ატრიბუტები და შესაბამისი მრავალენოვანი განმარტებითი ლექსიკონები, რაც ჩვეულებრივ საჭიროა იმ პოლიტიკისთვის, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე;

(დ) ინფორმაცია მონაცემების დროითი განზომილების შესახებ;

(ე) მონაცემების განახლება.

3. იმპლემენტაციის წესები ისე უნდა შემუშავდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის იმ ერთეულებს შორის ლოგიკური თანმიმდევრულობა, რომლებიც ეხება ერთი და იგივე ადგილმდებარეობას ან რომლებიც ეხება სხვადასხვა მასშტაბებში წარმოდგენილ ერთსა და იმავე ობიექტს.

4. იმპლემენტაციის წესები ისე უნდა შემუშავდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა სივრცითი მონაცემების ნაკრებებიდან მიღებული ინფორმაციის 7(4) მუხლსა და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ასპექტებთან თავსებადობა.

#### *მუხლი 9*

7(1) მუხლში მოცემული იმპლემენტაციის წესების მიღება ხდება შემდეგ ვადებში:

(ა) არა უგვიანეს 2009 წლის 15 მაისისა, I დანართში მითითებული თემატიკის შესაბამისი სივრცითი მონაცემების ნაკრებების შემთხვევაში;

(ბ) არა უგვიანეს 2012 წლის 15 მაისისა, II ან III დანართში მითითებული თემატიკის შესაბამისი სივრცითი მონაცემების ნაკრებების შემთხვევაში.

#### *მუხლი 10*

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ყველა ინფორმაცია, 7(1) მუხლით გათვალისწინებულ იმპლემენტაციის წესებთან შესაბამისობისთვის საჭირო მონაცემების, კოდებისა და ტექნიკური კლასიფიკაციების ჩათვლით, ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის ან მესამე პირებისთვის ისეთი პირობებით, რომელიც არ შეზღუდავს ამ ინფორმაციის აღნიშნული მიზნით გამოყენებას.

2. იმისათვის, რომ ის სივრცითი მონაცემები ლოგიკურად თანამიმდევრული იყოს, როდესაც გეოგრაფიული მახასიათებელია ორი ან მეტი წევრი სახელმწიფოს საზღვარზე მდებარეობს, წევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ორმხრივი შეთანხმებით, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ამგვარი საერთო მახასიათებლების გამოსახვის და მდებარეობის შესახებ.

### **თავი IV**

#### **ქსელური სერვისები**

#### *მუხლი 11*

1. წევრი სახელმწიფოები ქმნიან და მართავენ ქსელს სივრცითი მონაცემების იმ ნაკრებებისა და სერვისებისთვის, რომლისთვისაც იქმნება მეტამონაცემები წინამდებარე დირექტივის შესაბამისად:

(ა) მონაცემთა აღმოჩენის (გამოვლენის) სერვისი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სივრცითი მონაცემების ნაკრებების და სერვისის მოძიება შესაბამისი მეტამონაცემების შინაარსის საფუძველზე, ასევე მეტამონაცემების შინაარსის ჩვენება;

(ბ) მონაცემთა ვიზუალიზაციის სერვისი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, როგორც მინიმუმ, ხილვადი სივრცითი მონაცემების ნაკრებების ჩვენება, ნავიგაცია, ზუმირება, პანორამირება ან ფენებად დალაგება; ასევე, პირობითი სიმბოლოების შესახებ ინფორმაციის და მეტამონაცემების ნებისმიერი შესაბამისი შინაარსის ჩვენება;

(გ) მონაცემთა ჩამოტვირთვის სერვისი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სივრცითი მონაცემების ნაკრებების ან ამ მათი ნაწილების ასლების ჩამოტვირთვა და, სადაც ეს შესაძლებელია, მათზე პირდაპირი წვდომა;

(დ) მონაცემთა განახლების სერვისი, რომლის საშუალებითაც ხდება სივრცითი მონაცემების ნაკრების განახლება მათი ფუნქციური თავსებადობის მიღწევის მიზნით;

(ე) სერვისი, რომელიც სივრცითი მონაცემების სერვისზე დაყრდნობის საშუალებას იძლევა.

ეს სერვისები უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელთა შესაბამის მოთხოვნებს და უნდა იყოს ადვილად გამოყენებადი, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინტერნეტის ან ტელეკომუნიკაციის სხვა სათანადო საშუალებებით.

2. პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული სერვისის მიზნებისთვის, როგორც მინიმუმ, საჭიროა ძეგლის შემდეგი კრიტერიუმების ერთობლივი გამოყენება:

(ა) საკვანძო (სადიებო) სიტყვები;

(ბ) სივრცითი მონაცემებისა და სერვისების კლასიფიკაცია;

(გ) სივრცითი მონაცემების ნაკრებების ხარისხი და ვალიდურობა (საიმედოობა);

(დ) 7(1) მუხლში მოცემულ განხორციელების წესებთან შესაბამისობის ხარისხი;

(ე) გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;

(ვ) სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე წვდომის, ასევე მათი გამოყენების პირობები;

(ზ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პასუხს აგებენ სივრცითი მონაცემების ნაკრებების და სერვისების შექმნაზე, მართვაზე, შენახვასა და გავრცელებაზე.

3. ამ მუხლის 1(დ) პუნქტში მითითებული მონაცემთა განახლების სერვისი უნდა გაერთიანდეს იმავე მუხლით გათვალისწინებულ სხვა სერვისებთან ისე, რომ შესაძლებელი იყოს ყველა ამ სერვისის მართვა, 7(1) მუხლში განსაზღვრული განხორციელების წესების შესაბამისად.

### *მუხლი 12*

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მიეცეთ ტექნიკური შესაძლებლობა, საკუთარი სივრცითი მონაცემების ნაკრებები და სერვისები დაუკავშირონ 11(1) მუხლში მითითებულ ქსელს. ეს სერვისები, მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მესამე პირებისთვის, რომელთა სივრცითი მონაცემების ნაკრებები და სერვისები შეესაბამება განხორციელების წესებს, სადაც განსაზღვრულია მეტამონაცემებთან, ქსელურ სერვისებთან და ფუნქციურ თავსებადობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

### *მუხლი 13*

1. გამონაკლის შემთხვევებში, 11(1) მუხლში მითითებული პირობები შესაძლოა შეიცვალოს და წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდონ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული სერვისების საშუალებით სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე საჯარო წვდომა, თუ ეს უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობებზე, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ან სახელმწიფო თავდაცვაზე.

გამონაკლის შემთხვევებში, 11(1) მუხლში მითითებული პირობები შესაძლოა შეიცვალოს და წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდონ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) და (ე) ქვეპუნქტებში მითითებული სერვისების საშუალებით სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე ან მე-14 მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული კომერციის სერვისებზე საჯარო წვდომა, თუ ეს უარყოფითად იმოქმედებს ნებისმიერ ქვემოთ მითითებულზე:

(ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კონფიდენციალურობა, თუ კონფიდენციალურობას ითვალისწინებს კანონი;

- (ბ) საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სახელმწიფო თავდაცვა;
- (გ) მართლმსაჯულების აღსრულება, ნებისმიერი პირის სამართალუნარიანობა ისარგებლოს ობიექტური სასამართლო გარჩევით ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს სამართალუნარიანობა აწარმოოს სისხლის სამართლის ან დისციპლინარული ხასიათის გამოძიება;
- (დ) კომერციული ან ინდუსტრიული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ ასეთ კონფიდენციალურობას ითვალისწინებს ეროვნული ან თანამეგობრობის კანონმდებლობა სტატისტიკური მონაცემების და საგადასახადო საიდუმლოების შენახვისას, კანონიერი ეკონომიკური ინტერესების, მათ შორის სახელმწიფო ინტერესების, დაცვის მიზნით;
- (ე) ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- (ვ) ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების ან/და საქმეების კონფიდენციალურობა, თუ ამ პირს არ მიუცია თანხმობა ასეთი ინფორმაციის განსაჯაროებაზე და თუ ასეთ კონფიდენციალურობას ითვალისწინებს ეროვნული ან თანამეგობრობის კანონმდებლობა;
- (ზ) ნებისმიერი პირის ინტერესების ან თავად იმ პირის დაცვა, რომელმაც მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდა საკუთარი ნებით, ყოველგვარი იურიდიული ვალდებულების გარეშე, თუ ამ პირს თავად არ მიუცია თანხმობა ამ ინფორმაციის განსაჯაროებაზე;
- (თ) იმ გარემოს დაცვა, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, როგორცაა იშვიათი სახეობების ადგილსამყოფელი.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული წვდომის შეზღუდვის საფუძველი ისე უნდა განიმარტოს, რომ კონკრეტული შემთხვევისთვის გათვალისწინებული იყოს საზოგადოების ინტერესი, რასაც ემსახურება ამგვარი წვდომის უზრუნველყოფა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესი, რასაც ემსახურება ინფორმაციის გამჟღავნება, უნდა შედარდეს იმ ინტერესთან, რასაც ემსახურება წვდომის შეზღუდვა ან წვდომაზე პირობების დაწესება. წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება, პირველი პუნქტის (ა), (დ), (ვ), (ზ) და (თ) ქვეპუნქტების საფუძველზე, შეზღუდონ გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა.
3. ზემოაღნიშნულის ფარგლებში და პირველი პუნქტის (ვ) ქვეპუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ 95/46/EC დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

#### *მუხლი 14*

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 11(1) მუხლის (ა) და (ბ) ქვეპუნქტში მითითებული სერვისები საზოგადოებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს.
2. გამონაკლის შემთხვევებში, პირველი პუნქტის პირობები შესაძლოა შეიცვალოს და წევრმა სახელმწიფოებმა ნება დართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ 11(1)(ბ) მუხლში მითითებულ სერვისს, დააწესონ გადასახდელები, თუ ეს თანხები უზრუნველყოფს სივრცითი მონაცემების ნაკრებების და შესაბამისი მონაცემების სერვისების ტექნიკურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება დიდი ოდენობით ხშირად განახლებად მონაცემებს.
3. 11(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული ვიზუალიზაციის სერვისით ხელმისაწვდომი მონაცემები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ისეთი ფორმით, რომ შეუძლებელი იყოს კომერციული მიზნით მათი ხელმეორედ გამოყენება.

4. თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები დააწესებენ გადასახდელებს მე-11 მუხლის პირველი პუნქტის (ბ), (გ) და (ე) ქვეპუნქტებში მითითებულ სერვისებზე, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ელექტრონული კომერციის სერვისი ხელმისაწვდომი იყოს. ასეთი სერვისის მიღება შესაძლებელია პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადის, გამარტივებული ლიცენზიის ან, საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზიის საფუძველზე.

#### *მუხლი 15*

1. კომისია ქმნის ENSPIRE გეო-პორტალს და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას თანამეგობრობის დონეზე.
2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ 11(1) მუხლში მითითებულ სერვისებზე წვდომას პირველი პუნქტით გათვალისწინებული ENSPIRE გეო-პორტალის საშუალებით. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ ზემოაღნიშნულ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა წვდომის საკუთარი წერტილების გამოყენებით.

#### *მუხლი 16*

განხორციელების წესები, რომლებიც შემუშავებულია წინამდებარე თავის არაარსებით ელემენტებში დანართის სახით ცვლილებების შეტანის მიზნით, მიიღება გულდასმით შესწავლის შემდეგ, 22(3) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად და შეეხება კონკრეტულად შემდეგს:

- (ა) მე-11 და მე-12 მუხლებში მითითებული სერვისების ტექნიკურ სპეციფიკაციას და ამ სერვისების შესრულების მინიმალურ კრიტერიუმებს, თანამეგობრობის გარემოს დაცვის კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ანგარიშგების არსებული მოთხოვნებისა და რეკომენდაციების, არსებული ელექტრონული კომერციის სერვისების და ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით.
- (ბ) მე-12 მუხლში მითითებულ ვალდებულებებს.

### **თავი V**

#### **მონაცემების ერთობლივი გამოყენება**

#### *მუხლი 17*

1. თითოეული წევრი სახელმწიფო იღებს ზომებს თავისი ხელისუფლების ორგანოების მიერ სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ერთობლივი გამოყენებისთვის, როგორც ეს მითითებულია მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში. აღნიშნული ზომები დაეხმარება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე წვდომის მოპოვებაში და ამ ნაკრებებისა და სერვისების გაცვლასა და გამოყენებაში, იმ საჯარო ამოცანების მიზნებისთვის, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომები გამორიცხავს ყველა იმ შეზღუდვას, რაც სავარაუდოდ პრაქტიკულ დაბრკოლებებს შექმნის სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების გამოყენების ან გაზიარების დროს.
3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნება დართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც აწვდიან სივრცითი მონაცემების ნაკრებებსა და სერვისებს, ლიცენზიით გასცენ ეს ნაკრებები და

სერვისები ან მოითხოვონ ამ ნაკრებებისა და სერვისების ანაზღაურება თანამეგობრობის იმ ხელისუფლების ორგანოებისგან ან დაწესებულებებისგან და ორგანიზაციებისგან, რომლებიც იყენებენ ამ სივრცითი მონაცემების ნაკრებებს და სერვისებს. ნებისმიერი ასეთი გადასახდელი და ლიცენზია უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ერთობლივი გამოყენების ხელშეწყობის საერთო მიზანს. გადასახდელის დაწესების შემთხვევაში, ის უნდა შეესაბამებოდეს იმ მინიმალურ ოდენობას, რაც საჭიროა სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ხარისხისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად და ინვესტიციიდან გონივრული ამონაგების მისაღებად; ამავდროულად, სადაც შესაძლებელია, საჭიროა სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების მიმწოდებელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს თვითდაფინანსების პირობების გათვალისწინება. არ შეიძლება გადასახდელის დაწესება წევრი სახელმწიფოების მიერ თანამეგობრობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის მიწოდებულ ისეთ სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე, რომელიც ემსახურება თანამეგობრობის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოს შესახებ ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებას.

4. პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ერთობლივი გამოყენების ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტში მითითებული სხვა წევრი სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებისთვის და თანამეგობრობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის, იმ საჯარო ამოცანების მიზნებისთვის, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე.

5. პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ერთობლივი გამოყენების ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, თანაბარუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე, იმ საერთაშორისო შეთანხმებებით შექმნილი ორგანოებისთვის, რომლის მხარეებიც არიან თანამეგობრობა და წევრი სახელმწიფოები, იმ საჯარო ამოცანების მიზნებისთვის, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარემოზე.

6. თუ პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სერვისების ერთობლივი გამოყენების ღონისძიებები ხელმისაწვდომია მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ამ ღონისძიებებს შესაძლოა თან ახლდეს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული მოთხოვნები, რომელიც განაპირობებს მათ გამოყენებას.

7. გამონაკლის შემთხვევებში, წინამდებარე მუხლის პირობები შესაძლოა შეიცვალოს და წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდონ ერთობლივი გამოყენება, თუ ეს ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების აღსრულებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ეროვნულ თავდაცვასა და საერთაშორისო ურთიერთობებს.

8. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ თანამეგობრობის დაწესებულებებისა და ორგანოებისთვის სივრცითი მონაცემების ნაკრებებზე და სერვისებზე წვდომას, შეთანხმებული პირობების შესაბამისად. ამ პირობების მარეგულირებელი იმპლემენტაციის წესები, რომლებიც შემუშავებულია წინამდებარე დირექტივის არაარსებით ელემენტებში დანართის სახით ცვლილებების შეტანის მიზნით, მტკიცდება მარეგულირებელი პროცედურის ზუსტი დაცვით, 22(3) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული იმპლემენტაციის წესები სრულად უნდა პასუხობდეს 1-3 პუნქტებში განსაზღვრულ პრინციპებს.



## თავი VI

### საკოორდინაციო და დამატებითი ღონისძიებები

#### მუხლი 18

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურებისა და მექანიზმების შემუშავებას მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის კოორდინაციის მიზნით; ასევე, უზრუნველყოფენ პროცესში ყველა იმ მხარის მონაწილეობას, ვინც დაინტერესებულია სივრცითი ინფორმაციის საკუთარი ინფრასტრუქტურით.

ეს სტრუქტურები იმავდროულად კოორდინაციას გაუწევს, სხვათა შორის, მომხმარებლებს, მწარმოებლებს, დამატებითი ღირებულების მომსახურების მიმწოდებლებსა და მაკოორდინირებელ ორგანოებს, შესაბამის მონაცემთა ნაკრებებისა და მომხმარებელთა საჭიროებების განსაზღვრის, არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ამ დირექტივის განხორციელებაზე უკუკავშირის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 19

1. კომისია პასუხისმგებელია თანამეგობრობის ფარგლებში INSPIRE-ის კოორდინაციაზე და ამ მიზნით, შესაბამისი ორგანიზაციები, კერძოდ, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო უზრუნველყოფს მის ხელშეწყობას.

2. თითოეული წევრი სახელმწიფო შეარჩევს საკონტაქტო ორგანოს, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წინამდებარე დირექტივასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომისიასთან ურთიერთობებზე. აღნიშნული საკონტაქტო ორგანო დახმარებას მიიღებს საკოორდინაციო სტრუქტურისაგან, წევრი სახელმწიფოს ფარგლებში ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების გათვალისწინებით.

#### მუხლი 20

წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ განხორციელების წესებში სათანადოდ გათვალისწინებულია სტანდარტიზაციის ევროპული ორგანოების მიერ მიღებული სტანდარტები, 98/34/EC დირექტივაში მოცემული პროცედურის შესაბამისად, ასევე საერთაშორისო სტანდარტები.

## თავი VII

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 21

1. წევრი სახელმწიფოები მონიტორინგს უწევენ სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის დანერგვასა და გამოყენებას. ისინი უზრუნველყოფენ ამ მონიტორინგის შედეგების მუდმივ საჯაროობასა და კომისიისთვის ხელმისაწვდომობას.

2. არა უგვიანეს 2010 წლის 15 მაისისა, წევრი სახელმწიფოები კომისიას გაუგზავნიან ანგარიშს, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს:

(ა) როგორ ხდება სივრცითი მონაცემების ნაკრებების და სერვისების საჯარო სექტორის მიმწოდებლებს და მომხმარებლებსა და შუამავალ სააგენტოებს შორის კოორდინაცია, და როგორია მესამე პირებთან ურთიერთობა და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაცია;

- (ბ) როგორია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან მესამე პირების წვლილი სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასა და კოორდინაციაში;
- (გ) სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- (დ) მონაცემების ერთობლივი გამოყენების შეთანხმებები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის;
- (ე) წინამდებარე დირექტივის განხორციელების ხარჯები და სარგებელი;
3. არა უგვიანეს 2013 წლის 15 მაისიდან ყოველ სამ წელიწადში, წევრი სახელმწიფოები კომისიას გაუგზავნიან ანგარიშს, მე-2 პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციით.
4. წინამდებარე მუხლის განხორციელების დეტალური წესები მტკიცდება 22(2) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის თანახმად.

### *მუხლი 22*

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი.
2. როდესაც მითითება კეთდება წინამდებარე პუნქტზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.
- 1999/468/EC გადაწყვეტილების 5(6) მუხლში მითითებული პერიოდი განისაზღვრება სამი თვით.
3. როდესაც მითითება კეთდება წინამდებარე პუნქტზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების 5ა(1)-(4) და მე-7 მუხლები, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

### *მუხლი 23*

2014 წლის 15 მაისისთვის და ამის შემდეგ ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ, კომისია ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინამდებარე დირექტივის განხორციელების შესახებ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წევრი სახელმწიფოების მიერ 21(2)(3) მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით.

საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშს დაერთვება თანამეგობრობის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

### *მუხლი 24*

1. 2009 წლის 15 მაისამდე წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ ისეთ კანონებს, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დადგენილებებს, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივის განხორციელებისთვის.
- წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღებისას, ეს ზომები უნდა შეიცავდეს წინამდებარე დირექტივაზე მითითებას ან თან უნდა დაერთოს ასეთი მითითება დოკუმენტების ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ამგვარი მითითების განხორციელების მეთოდებს განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები.
2. წევრი სახელმწიფოები კომისიას მიაწოდებენ ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომლებსაც ისინი მიიღებენ ამ დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.

## მუხლი 25

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

## მუხლი 26

დირექტივა ეხება და ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2007 წლის 14 მარტს, სტრასბურგში

ხელმომწერი პირი ევროპარლამენტის სახელით

პრეზიდენტი

ჰ.გ. პოტერინგი

ხელმომწერი პირი ევროსაბჭოს სახელით

პრეზიდენტი

გ. გლოსერი

## დანართი I

### 6(ა), 8(1) და 9(ა) მუხლებში მითითებული სივრცითი მონაცემების თემატიკა

#### 1. საკოორდინატო სისტემა

სივრცეში სივრცითი ინფორმაციის კოორდინატების (x, y, z) ან/და გრძედის და განედის და სიმაღლის აღწერის ერთგვაროვანი სისტემა, გეოდეზიურ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

#### 2. გეოგრაფიული საკოორდინატო ბადეების სისტემა

ცვლადი გარჩევადობის შეთანხმებული ბადე, კოორდინატთა საერთო დასაწყისით და ბადის უჯრედების სტანდარტიზებული მდებარეობითა და ზომით.

#### 3. გეოგრაფიული სახელწოდებები

მხარეების, რეგიონების, ადგილმდებარეობების, ქალაქების, გარეუბნების, დაბების ან დასახლებების სახელები, ან საჯარო ან ისტორიული მნიშვნელობის ნებისმიერი გეოგრაფიული თუ ტოპოგრაფიული მახასიათებელი.

#### 4. ადმინისტრაციული ერთეულები

ადმინისტრაციული საზღვრებით გამოყოფილი ადმინისტრაციული ერთეულები, რომელზეც მოქმედებს და სადაც წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ საკუთარ სამართლებრივ უფლებებს ადგილობრივი, რეგიონული და სახელმწიფო მმართველობის მიზნით.

#### 5. მისამართები

მისამართის იდენტიფიკატორებზე დაფუძნებული სხვადასხვა ქონების ადგილმდებარეობა, ჩვეულებრივ ქუჩის სახელწოდების, შენობის ნომრის, საფოსტო კოდის მიხედვით.

#### 6. საკადასტრო ნაკვეთები

საკადასტრო რეესტრებში ან მის ექვივალენტურ სისტემებში განსაზღვრული ტერიტორიები.

#### 7. სატრანსპორტო ქსელები

საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის ქსელები და დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. აქვე შედის სხვადასხვა ქსელებს შორის კავშირები, ასევე ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი, როგორც ეს დადგენილია ევროპარლამენტისა და ევროკავშირის 1996 წლის 23 ივლისის 1692/96/EC გადაწყვეტილებით თანამეგობრობის ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ<sup>(1)</sup> და ამ გადაწყვეტილების შემდგომი რედაქციებით.

#### 8. ჰიდროგრაფია

ჰიდროგრაფიული ელემენტები, მათ შორის საზღვაო რაიონები და ყველა სხვა წყალსატევი და მათთან დაკავშირებული ობიექტები, მდინარეების აუზებისა და ქვე-აუზების ჩათვლით. ამ კატეგორიაში, შეძლებისდაგვარად, შესაძლებელია სხვა ობიექტების შეყვანაც, რომლებიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/EC დირექტივაში, რომელიც ადგენს თანამეგობრობის საქმიანობის სტრუქტურას წყლის პოლიტიკასთან<sup>(2)</sup> დაკავშირებით, ქსელების სახით.

#### 9. დაცული ტერიტორიები

ტერიტორიები, რომლებიც დადგენილია და იმართება საერთაშორისო, თანამეგობრობისა და წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რათა მიღწეული იყოს კონკრეტული ობიექტების დაცვის მიზნები.

## დანართი II

### 6(ა), 8(1) და 9(ბ) მუხლებში მითითებული სივრცითი მონაცემების თემატიკა

#### 1. სიმაღლე ზღვის დონიდან

მიწის, ყინულის და ოკეანის ზედაპირის ზღვის დონიდან სიმაღლის ციფრული მოდელები. აღნიშნული მოიცავს ხმელეთის სიმაღლეს ზღვის დონიდან, ბათიმეტრიულ მონაცემებს და სანაპირო ზოლის განლაგებას.

#### 2. მიწის საფარი

დედამიწის ზედაპირის ფიზიკური და ბიოლოგიური საფარი, მათ შორის ხელოვნური ზედაპირი, სასოფლო-სამურნეო ადგილები, ტყეები, (ნახევრად-) ბუნებრივი ადგილები, ჭაობები და წყალსატევეები.

#### 3. ორთოგამოსახულება

სატელიტიდან ან საჰაერო სენსორიდან გადაღებული დედამიწის ზედაპირის გეოგრაფიული ვიდეომონაცემები.

#### 4. გეოლოგია

<sup>1</sup> OJ L 228, 9.9.1996, გვ. 1. გადაწყვეტილება ბოლოს შესწორდა საბჭოს გადაწყვეტილებით (EC) No 1791/2006 (OJ L 363, 20.12.2006, გვ. 1)

<sup>2</sup> OJ L 327, 22.12.2000, გვ. 1. დირექტივა შესწორდა გადაწყვეტილებით No 2455/2001/EC (OJ L 331, 15.12.2001, გვ. 1).

შემადგენლობისა და სტრუქტურის მიხედვით დახასიათებული გეოლოგია. ამაში შედის ქვენაფენი ქანები, წყალშემცველი ჰორიზონტები და გეომორფოლოგია.

### დანართი III

#### 6(ბ) და 9(ბ) მუხლებში მითითებული სივრცითი ინფორმაციის თემატიკა

##### 1. სტატისტიკური ერთეულები

სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ან გამოყენებისთვის საჭირო ერთეულები.

##### 2. შენობები

შენობების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.

##### 3. ნიადაგი

სიღრმის, ტექსტურის, ნაწილაკებისა და ორგანული მასალების სტრუქტურისა და შემადგენლობის, ქვიანობის, ეროზიის და, საჭიროების შემთხვევაში, საშუალო დაქანებისა და მოსალოდნელი წყალტევადობის მიხედვით დახასიათებული ნიადაგი და ქვენიადაგი.

##### 4. მიწის გამოყენება

არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი ფუნქციონალური განზომილების ან სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით (მაგ.: საცხოვრებელი, ინდუსტრიული, კომერციული, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, გამაჯანსაღებელი) დახასიათებული ტერიტორია.

##### 5. ადამიანთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

პათოლოგიების (ალერგია, სიმსივნური დაავადებები, სასუნთქი გზების დაავადებები და სხვა) გეოგრაფიული გავრცელება; ინფორმაცია, რომელიც ეხება ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას (ბიომარკერები, შობადობის დონის შემცირება, ეპიდემიები) ან ადამიანების კეთილდღეობაზე ზემოქმედებას (დაღლილობა, სტრესი და სხვა), რაც უკავშირდება პირდაპირ (ჰაერის დაბინძურება, ქიმიკატები, ოზონის შრის შემცირება, ხმაური და სხვა) თუ არაპირდაპირ (საკვები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და სხვა) გარემოს ხარისხს.

##### 6. კომუნალური და სახელმწიფო სამსახურები

მოიცავს კომუნალურ ობიექტებს, როგორცაა ჩამდინარე წყლების, ნარჩენების მართვის, ენერგომომარაგებისა და წყალმომარაგების სამსახურები; ასევე ადმინისტრაციული და სახელმწიფო სოციალური სამსახურები, როგორცაა სახელმწიფო ადმინისტრაციული შენობები, სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები, სკოლები და საავადმყოფოები.

##### 7. გარემოს დაცვის მონიტორინგის საშუალებები

გარემოს დაცვის მონიტორინგის საშუალებების ადგილმდებარეობა და ფუნქციონირება მოიცავს სახელმწიფო ხელსიფულების ორგანოების მიერ ან მათი სახელით ატმოსფეროში გამონაბოლქვების, გარემოს კომპონენტების და ეკოსისტემის სხვა პარამეტრების (ბიომრავალფეროვნება, მცენარეული საფარის ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა) მდგომარეობის შესწავლას და განსაზღვრას.

##### 8. წარმოების და სამრეწველო ობიექტები

სამრეწველო წარმოების ობიექტები, მათ შორის ევროსაბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და მართვის შესახებ 91/61/EC დირექტივით<sup>1</sup>) განსაზღვრული დანადგარები, ასევე წყალაღების ობიექტები, სამთო მრეწველობის ობიექტები და ნარჩენების დამარხვის ადგილები.

#### 9. სასოფლო-სამეურნეო და აკვაკულტურის ობიექტები

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების ობიექტები (მათ შორის, საირიგაციო სისტემები, სათბურები და საჯინიბოები).

#### 10. მოსახლეობის განაწილება - დემოგრაფია

ადამიანების გეოგრაფიული გადანაწილება, მოსახლეობის მახასიათებლების და საქმიანობის დონეების ჩათვლით, რომელიც შეჯგუფდება გეოგრაფიული ბადის, რეგიონის, ადმინისტრაციული ერთეულის ან სხვა რომელიმე ანალიზური ერთეულის მიხედვით.

#### 11. ტერიტორიის მართვა/შეზღუდვები/რეგულირების ზონები და ანგარიშვალდებული ერთეულები

ტერიტორიები, რომელიც იმართება, რეგულირდება ან რომელთა შესახებ ანგარიშის წარდგენა ხდება საერთაშორისო, ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ანგარიშგებისთვის. ეს ტერიტორიები მოიცავს ნაგავსაყრელებს, სასმელი წყლის წყაროების მახლობლად აკრძალულ ზონებს, ნიტრატების მიმართ მგრძობიარე ზონები, ზღვის ან დიდი შიდა წყლების რეგულირებადი ფარვატერები, ნაგავსაყრელი ადგილები, ხმაურის შეზღუდვის ზონები, გეოლოგიური კვლევისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები, მდინარის აუზის რაიონები, შესაბამისი ანგარიშვალდებული ერთეულები და სანაპირო ზონის მართვის პუნქტები.

#### 12. ბუნებრივი რისკის ზონები

დაუცველი ადგილები, რომლებიც ხასიათდება სტიქიური უბედურებებით (ყველა ატმოსფერული, ჰიდროლოგიური, სეისმური, ვულკანური და ხანძრის მოვლენები, რასაც შეუძლია საზოგადოებაზე სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს მათი ადგილმდებარეობის, მასშტაბურობისა და სიხშირის გამო), როგორცაა წყალდიდობა, მეწყერი, გრუნტის ჩაწოლა, ზვავი, ტყის ხანძარი, მიწისძვრა, ვულკანური ამოფრქვევა.

#### 13. ატმოსფერული პირობები

ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური მოვლენები. აღნიშნული მოიცავს ზომებზე, მოდელებზე ან მათ კომბინაციებზე დაფუძნებულ სივრცით მონაცემებს და ზომვად ადგილმდებარეობებს.

#### 14. მეტეოროლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლები

ამინდის პირობები და მათი საზომი სისტემა; ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურა, ევაპოტრანსპირაცია (წყლის ატმოსფეროში აორთქლების პროცესი), ქარის სიჩქარე და მისი მიმართულება.

#### 15. ოკეანოგრაფიულ-გეოგრაფიული მახასიათებლები

ოკეანეების ფიზიკური მდგომარეობა (დინება, სიმლაშე, ტალღების სიმაღლე და სხვა).

---

<sup>1</sup> OJ L 257, 10.10.1996, გვ. 26, დირექტივა ბოლოს შესწორდა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს (EC) No 166/2006 რეგულაციით (OJ L 33, 4.2.2006, p. 1).

#### 16. ზღვის რეგიონები

ზღვებისა და მლაშე წყლების ობიექტების ფიზიკური მდგომარეობა, რომლებიც დაყოფილია რეგიონებად და ქვე-რეგიონებად საერთო მახასიათებლების მიხედვით.

#### 17. ბიო-გეოგრაფიული რეგიონები

ტერიტორიები, სადაც ეკოლოგიური მდგომარეობა შედარებით ერთგვაროვანია და აქვთ საერთო მახასიათებლები.

#### 18. ბუნებრივი საარსებო გარემო და ბიოტოპები

გეოგრაფიული ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდება სპეციფიკური ეკოლოგიური პირობებით, პროცესებით, სტრუქტურითა და სიცოცხლისათვის საჭირო ფუნქციებით, რაც ფიზიკურად ეხმარება იქ მობინადრე ორგანიზმებს. აღნიშნული მოიცავს ხმელეთისა და წყლის ადგილებს, რომლებიც განსხვავებულია თავისი გეოგრაფიული, აბიოტიკური და ბიოტიკური მახასიათებლებით, მიუხედავად იმისა, ეს ადგილები მთლიანად არის ბუნებრივი თუ ნახევრად.

#### 19. სახეობების გავრცელება

ცხოველებისა და მცენარეების სახეობების გეოგრაფიული გავრცელების ადგილები, რომელიც შეჯგუფდება გეოგრაფიული ბადის, რეგიონის, ადმინისტრაციული ერთეულის ან სხვა რომელიმე ანალიზური ერთეულის მიხედვით.

#### 20. ენერგორესურსები

ენერგორესურსები, მათ შორის ნახშირწყალბადი, ჰიდროელექტროენერგია, ბიო-ენერგია, მზის, ქარის ენერგია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რესურსის განლაგების სიღრმის/სიმაღლის შესახებ ინფორმაცია.

#### 21. მინერალური რესურსები

მინერალური რესურსები, მათ შორის ლითონის მადნები, სამრეწველო მინერალები და სხვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რესურსის განლაგების სიღრმის/სიმაღლის შესახებ ინფორმაცია.